სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 მარტი, 2025 წ.

ბრძანება №01-02/42

„2025 წლის მაისში ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 11 თებერვლის N01-02/16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 მარტის N07-01/10 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის“, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 10 მარტის N256689 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2025 წლის მაისში ბსუ-ში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 11 თებერვლის N01-02/16 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ბსუ-ს სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება ბსუ-ს პორტალზე (პორტალის მოდულში ,,კარიერული ოფისი“ რეგისტრაცია ელექტრონულად) – **2025 წლის 19 თებერვლიდან - 2025 წლის 14 მარტის ჩათვლით;**“.

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე გავრცელდეს ბსუ-ს პორტალის და სოციალური ქსელის მეშვეობით.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე